Georgian Respiratory Association
2004

საქართველოს რესპირაციული ასოციაცია
Georgian Respiratory Association

#01/05

20 მაისი 2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, იძულებით გადაადგილებულთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური მდგომარეობების მართვის სახ. სტანდარტების-გაიდლაინებისა და პროტოკოლების საბჭოს

რეცენზია/რეკომენდაცია

საქართველოს რესპირაციულმა ასოციაციამ განიხილა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთლობის ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი იქნა „მოწევის შეწყვეტის ხელშეწყობის სახელმძღვანელო“.

თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი თამბაქოსთვის თავის დანებების ხელშეწყობაა. ჯანმოს ევროპის რეგიონის პროექტებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის თამბაქოს კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს პირველადი ჯანდაცვის ექიმების მომზადება თამბაქოსთვის თავის დანებების ხანმოკლე კონსულტაციების სერვისის მიწოდებაში, რაშიც საქართველოს რესპირაციული ასოციაცია აქტიურად იღებდა მონაწილეობას; ფუნქციონირებს თამბაქოზე თავის დანებების ცხელი ხაზი 116001; ფუნქციონირებს თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მობილური აპლიკაცია.

საქართველოს რესპირაციული ასოციაციას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რაც ასევე წარმოადგენს თამბაქოსთვის თავის დანებების ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის ერთერთ მიმართულებას, თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის ადვოკატირება, თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო პრეპარატების აუცილებელი მედიკამენტების სიაში და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მედიკამენტთა სიაში მოხვედრა, და ა.შ.

საქართველოს რესპირაციული ასოციაცია დადებითად აფასებს წარმოდგენილ სახელმძღვანელოს და თვლის რომ იგი სრულ თანხვედრაშია თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის მე-14 მუხლისა და მისი გაიდლაინების მოთხოვნებთან და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებასთან. გარდა ამისა, სახელმძღვანელო სრულად შეესაბამება „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების

Georgian Respiratory Association, Iashvili Central Children Hospital, Ljubljana str. 2/6, Tbilisi, Georgia.
Tel.: (995-32) 2530033; e-mail: gra@georanet.org.ge, www.georanet.org.ge

შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ფორმატს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპირაციული ასოციაცია მიზანშეწონილად თვლის „მოწევის შეწყვეტის ხელშეწყობის სახელმძღვანელოს“ დამტკიცებას და შემდგომ დანერგვას.

პატივისცემით,

ვახტანგ ქაცარავა

პულმონოლოგი, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი-ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკის თორაკალური სამსახურის ხელმძღვანელი, საქართველოს რესპირაციული ასოციაციის გამგეობის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული პრემიის ლაურეატი მედიცინაში

saqarTvelos gul-sisxlZarRvTa prevenciisa da
GEORGIAN ASSOCIATION OF CARDIOVASCULAR PREVENTION AND REHABILITATION

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
იძულებით გადაადგილებულთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური მდგომარეობების მართვის

სახ. სტანდარტების-გაიდლაინებისა და პროტოკოლების საბჭოს

რეცენზია/რეკომენდაცია

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთლობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს რესპირაციული საზოგადოების მიერ განსახილველად წარმოდგენილი იქნა „მოწევის შეწყვეტის ხელშეწყობის სახელმძღვანელო“.

თამბაქოს აქტიური და პასიური მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, თავიდან აცილებადი პრობლემაა. თამბაქო გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კიბოს, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებისა და დიაბეტის ძირითადი რისკ-ფაქტორია და სიკვდილის ყოველი 8 ძირითადი მიზეზიდან 6 ასოცირებულია თამბაქოს მოხმარებასთან.

გაეროს განვითარების პროგრამასა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული „თამბაქოს კონტროლის საინვესტიციო შემთხვევის“ გათვლებით, საქართველოში თამბაქოსაგან გამოწვეული დაავადებებით ყოველწლიურად დაახლოებით 11 400 ადამიანი იღუპება, მათ შორის, 2 100 პასიური მწეველი.

სადღეისოდ, თამბაქოს მოიხმარს მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 33%; მწეველთა პროპორციული წილი მამაკაცთა შორის თითქმის რვაჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქალებს შორის (57% - მამაკაცებში, 7% - ქალებში), რაც ექსპერტთა შეფასებით არ ასახავს რეალურ სურათს, განსაკუთრებით, ქალთა მოსახლეობაში. არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების (STEPS 2016) კვლევამ კოტინინის ტესტის საშუალებით აჩვენა, რომ რეალურად თამბაქოს მოიხმარს ქალების 12.2%.ნმოწევისთვის თავის დანებება ცდილობს ამჟამინდელ მწეველთა 25-40%.

აიპ "საქართველოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციისა და რეაბილიტაციის ასოციაცია" დადებითად აფასებს წარმოდგენილ სახელმძღვანელოს და თვლის, რომ იგი მნიშვნელოვნად გაზრდის ექიმი/სპეციალისტების ცოდნის დონეს, გააუმჯობესებს თამბაქოსთვის თავის დანებების დასახმარებლად ადეკვატური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების/საშუალებების გამოყენებას და ხელს შეუწყობს არაგადამდები დაავადებების, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციასა და რეაბილიტაციას.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია „მოწევის შეწყვეტის ხელშეწყობის სახელმძღვანელოს“ დამტკიცება და დანერგვა და აძლევს რეკომენდაციას დამტკიცებისათვის.

პატივისცემით,

ზურაბ ფაღავა

ასოციაციის პრეზიდენტი

მედ მეცნ დოქტორი, პროფესორი, FESC

0171. ბერბუკის ქუჩა 10. თბილისი. საქართველო. 0171.10 Berbuki str. Tbilisi. Georgia.
e-mail: gaspar.prev@gmail.com. Tel.: +995 77477379, +995 57445540